
საერთაშორისო სოციალური და ლიტერატურული პროცესები
და ქართული მწერლობა
International Socio-literary Processes and Georgian Literature

Maia Arveladze, Elisabed Zardiashvili

მაია არველაძე, ელისაბედ ზარდიაშვილი

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ოსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

Georgia, Tbilisi

**Echoes of the European Feminist Movement of the 19th Century in the Works
of Georgian Classics**

**მე-19 საუკუნის ევროპის ფემინისტური მოძრაობის გამოძახილი
ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში**

The 19th-century national public figures were concerned about the lack of rights for women, and as a result, Georgia became a fruitful ground for the European feminist movement. Feminist writers are considered Akaki, Ilia, Vazha, Kazbegi, Nikoladze, and Gogebashvili. Their writings frequently address women's rights, and many of their theses explicitly encourage readers to join the feminist movement.

Despite being surrounded by the Muslim world, little Georgia, has actively participated in international events and consistently demonstrated that it is not a closed and enslaved country, but rather an integral part of European civilization.

Keywords: feminism, Europe, education, Russian Empire, Georgian writers

საკვანძო სიტყვები: ფემინიზმი, ევროპა, განათლება, რუსეთის იმპერია, ქართველი მწერლები

ქალთა უფლებების აქტიური და ხმამაღალი დაცვა XVIII საუკუნეში დაიწყო. 1776 წლის „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ შექმნამ, სადაც განმანათლებლად მხოლოდ მამაკაცები მოიაზრებოდნენ, გამოიწვია ფემინიზმის თეორიის გაჩენა. ერთ-ერთი პირველი ფემინისტი ქალი ფრანგი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე ოლიმპია დე გუჟი ქალებს მოუწოდებდა: „ქალებო, გაიღვიძეთ... აღმოაჩინეთ თქვენი უფლებები. ბუნების ძლევათაშორის იმპერია უკვე აღარ არის გარემოცული ცრურწმენებით, ფანატიზმით, განსჯამდელი შეხედულებებითა და სიცრუით“ (ნოლაიდელი, 2013, გვ. 7). 1791 წელს დე გუჟმა დაწერა „ქალთა უფლებების დეკლარაცია“, ხოლო 1793 წელს რევოლუციური იდეებისთვის მას გილიოტინაზე მოკვითეს თავი.

XIX საუკუნეში ევროპასა და ამერიკაში ქალთა მოძრაობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ქალბატონებისთვის განათლების მიღებისთვის ბრძოლაში გამოიკვეთა ხმის უფლების მოთხოვნაც, როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ისტორიულად საქართველოში ქალთა მიმართ არ ყოფილა ისეთი მკაცრი და დაუნდობელი დამოკიდებულება, როგორც ეს ევროპასა და აზიის ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი. არაერთი უცხოელი მოგზაური საქართველოზე მოგონებებში ქართველი ქალის სილამაზესთან ერთად აღფრთოვანებული უსვამდა ხაზს მათ დამოუკიდებლობასა და მნიშვნელოვან როლს როგორც საოჯახო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. XVII-XVIII საუკუნეების მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში ქალები მამაკაცებზე მეტად ეტანებოდნენ წიგნებს (ბრეგაძე, 2024, გვ. 29, 33, 34). მოგვიანებით ილია ჭავჭავაძემ თავისი ნაწარმოების გმირს ლუარსაბს ათქმევინა: „წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, – ეგ ხომ ქალის საქმეა“ (1988, გვ. 38). XVII საუკუნეში ფრანგმა ვაჭარმა და მოგზაურმა ჟან ბატისტ ტავერნიემ თავის მოგონებაში აღნიშნა, რომ სამეგრელოში მრავალი მონასტერი და სემინარიაა, სადაც ვაჟებზე უფრო მეტი გოგონა სწავლობდა (ბრეგაძე, 2024, გვ. 34). უცხოელთა ამ დაკვირვებებს ამყარებს ოდიდგანვე საქართველოში ქალების როლი საგანმანათლებლო და აღმზრდელობით სფეროში. წარჩინებულ ოჯახებში ქალები ისევე იღებდნენ განათლებას, როგორც ვაჟები და ხშირად ისინი აღმზრდელები და აღსაზრდელთა სწავლების მეთვალყურე იყვნენ.

XVIII საუკუნის ბოლოდან რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლამ უფრო დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას, ვიდრე მანამდე მრავალეროვან და მრავალრიცხოვან მტერს გაუკეთებია. ამ დროიდან მოყოლებული, რაც კი საქართველოში ხდებოდა, იქნებოდა ეს 1832 წლის შეთქმულება თუ ბრძოლა ქალთა ემანსიპაციისთვის, ყველაფერი მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, მიმდინარე მოვლენების ჯაჭვის რგოლს წარმოადგენდა.

რაც შეეხება ქალებს, მათ განათლებასა და აქტიურობას რუსეთის მმართველობამ XIX საუკუნიდან საერთოდ მოუღო ბოლო ჩვენს ქვეყანაშიც. ევროპის მსგავსად საქართველოშიც შეიზღუდა ქალთა უფლებები. ბატონყმობის გაუქმებამდე (1861) საქართველოში არ არსებობდა ქალთა საერო სასწავლებლები. წარჩინებულ ოჯახებში გოგონებს ე.წ. „საშინაო (შინაური) სკოლის“ (ე. ი. სახლის) პირობებში აძლევდნენ განათლებას, რაც წერა-კითხვის, საღმრთო წიგნისა და ხელსაქმის შესწავლით შემოიფარგლებოდა.

პირველი ქალთა სკოლა საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში გაიხსნა 1865 წელს, ქალაქ თბილისში – თბილისის ოლღას სახელობის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი. კურსდამთავრებულები იღებდნენ „საშინაო სკოლის“ მასწავლებლის წოდებას, უნივერსიტეტში შესვლის უფლება კი მათ არ ჰქონდათ.

ქალთა უფლებებისადმი ყურადღების მიქცევის საკითხში XIX საუკუნე თითქმის მთელ მსოფლიოში გარდამავალ ეპოქად იქცა. იქ ქალთა უფლებების დასაცავად ხმა აიმაღლა ბევრმა საზოგადო მოღვაწემ, მათ შორის მამაკაცმა მწერლებმა, პოლიტიკოსებმა თუ ფილოსოფოსებმა. საქართველოც არ ჩამორჩა ამ დინებას და ქალბატონების გარდა ცნობილმა მამაკაცმა მოღვაწეებმაც დაიწყეს აზრის გამოთქმა და ქალთა ჩაგვრის შესახებ კრიტიკული წერილების გამოქვეყნება. ქართული ლიტერატურის ისტორიაში კლასიკოს მწერალთა შორის ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი ფემინისტ მწერლებად მოიაზრებიან. მათი ძირითადი მოსაზრება ქალთა უფლებების გამყარებისათვის ქალბატონებისთვის სწავლა-განათლების მიღების უფლების მოპოვებას ემყარებოდა.

ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები განსაკუთრებული სითბოთი გამოხატავდნენ ქალების მიმართ პატივისცემას. აკაკი წერეთლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეინიშნება მისი მხრიდან ქალების მიმართ ყურადღება. ეს დამოკიდებულება მასში „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულამ აღძრა: „იქ დედათა სქესს შეუძლია, იპოვოს თავისი სიმართლე მით, რომ რუსთველი „ვეფხვის-ტყაოსანში“ გამოყვანილ ქალებს აძლევს არა თუ თანასწორ ღირსებებს და მნიშვნე-

ლობას მამაკაცებთან, თითქმის უმთავრეს მოქმედების მიზეზათ ისინი გამოჰყავს“ (2023ა, გვ. 79). ილია ჭავჭავაძე თვალყურს ადევნებდა ამერიკასა და ევროპაში ქალთა ემანსიპაციის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს უცხოური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. იგი „ივერიასა“ და „დროებაში“ ხშირად აქვეყნებდა საზღვარგარეთ ამ საკითხთან დაკავშირებულ სიახლეებს და აღნიშნავდა, რომ ამერიკაში ქალი დიდ და წარმატებულ როლს ასრულებდა „საზოგადო ცხოვრების მოედანზედ ... ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძლიერი საბუთია „დედათა ემანსიპაციის“ მომხრეთათვის ... არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვონ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისათვის“ (2007ა, გვ. 286-287). იაკობ გოგებაშვილს საქართველოს ყველა სასწავლებელში არსებული სწავლების ხარისხის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია და სინანულს გამოთქვამდა, რომ „წარსული საუკუნის დამლევს ... მღვდლის ცოლებიც ვალდებულნი იყვნენ, – გამართული ჰქონოდათ შინაური სკოლები წერა-კითხვის გასავრცელებლად მოზარდს ქალებში“ (1989ა, გვ. 167).

თანამედროვე ქალის ეტალონად აკაკი მწერალ ბარბარე ჯორჯაძეს მიიჩნევდა, რომლის მიმართ პატივისცემას იგი ახალგაზრდობიდანვე გამოხატავდა. პოეტი ჯერ კიდევ 1861 წელს წერდა: „განა ქალებს კი არა მართებთ ჩვენის ლიტერატურისათვის ზრუნვა – მთელს საქართველოში ერთი მხოლოდ კნ. ბარბარე ჯორჯაძის გყვავს სამაგალითოდ და ერთია მხოლოდ ქალებთან ამ პირველს საგანზედ“ (2023ბ, გვ. 33). ილია ხშირად ეხმიანებოდა ქალთა სხვადასხვა სასწავლებლის გახსნას ქვეყნის ამა თუ იმ მხარეში. იგი გამოეხმაურა ქუთაისში ქალთა სასწავლებლის გახსნისთვის საჭირო თანხების შეგროვების ფაქტსაც და აღნიშნა: „გვიხარია, რომ ჩვენს ქალებს თავის თავის შველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მეცადინეობა“ (2007ბ, გვ. 117, 118). ამ მოვლენას, ილიამ, როგორც გაზეთის რედაქტორმა, ეს და შემდეგი რამდენიმე ნომერი თითქმის მთლიანად დაუთმო. ი. გოგებაშვილი ქებას არ იშურებდა იმ ქალბატონების მიმართ, რომლებიც საზოგადოებრივი საქმის სასარგებლოდ სულ მცირე ღვაწლს მაინც გასწევდნენ. იგი განსაკუთრებით აფასებდა მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ერთ-ერთ აქტიურ ფემინისტ ქალს – ეკატერინე გაბაშვილს. ამ უკანასკნელს ი. გოგებაშვილი ნიჭიერ, თავის სამშობლოს მცოდნე და მოყვარე პირად მიიჩნევდა (1989ბ, გვ. 184-185).

XIX საუკუნის მწერლებს განსაკუთრებით აშფოთებდათ თანამედროვე ქალების უუნარობა და მშობლიური ენისა თუ ტრადიციების მივიწყება, რაც თავისთავად საქართველოში იმპერიული რუსეთის მიერ გატარებული დამლუპველი პოლიტიკის შედეგი იყო. აი, რას წერდნენ ამის თაობაზე მწერლები: „მშობლიურს აღარას კადრულობენ, რადგანაც მოდა აღარ არის ... იციან მხოლოდ საპოჟოლუსტო ენა და აქვსთ მხოლოდ სატანგი-მანცო ქცევა“ და მგოსანი იქვე გამოთქვამს აზრს, რომ თანამედროვე ქალის სავალალო მდგომარეობა მხოლოდ „მათი ბრალი არ არის“ (წერეთელი, 2023გ, გვ. 348); „ჩვენდა საუბედუროთ, ახლანდელ დროში ჩვენ ვერ ვხედავთ იმისთანა დედებსა და დათ ... აღარ სწამთ ... არც ქართული ენა, არც სამშობლო მწიგნობრობა“ (ჭავჭავაძე, 2007გ, გვ. 208-209); „ქალები ბევრწილად უქმნი და უვარგისნი არიან იმ მოკლედ შემოხაზულ წრეშიც კი, რომელშიც დღეს იმყოფებიან“ და ილიას აზრით, „გამჭირახობით გამოჩენილი“ ქალების რაოდენობა მცირე იყო (ჭავჭავაძე, 2007ა, გვ. 285).

მოწინავე და მოაზროვნე ადამიანები ქალბატონების საზოგადოებაში აქტიურად ჩასართავად პირველ რიგში მათთვის განათლების მიღებაში ხედავდნენ. ქალების განათლების საკითხი კი ქალთა ემანსიპაციის საფუძველია. ა. წერეთელს სურდა, რომ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს განათლება დაბალი ტიპის სასწავლებლებში დაეწყოთ მშობლიურ ენაზე, რადგანაც ჯერ ერთი „დაბალი ტიპის სკოლები საძირკველია იმ ეროვნული შენობის, რომელიც უნდა ავაგოთ...“ და მეორე, უცხო ენაზე აღზრდილ ქალებს „სრულიად დავიწყებული აქვსთ დედა-ენა და ერთმანეთში მიწერ-მოწერასაც ვეღარ ახერხებენ ... საჭიროა, იმათი აღზრდა, რომ დედაბად ივარგონ და „ხე ნაყოფისაგან საცნაურ იქმნეს“ (1961, გვ. 140, 141). ქვეყნის უკეთესი მომავალისკენ სავალ გზაზე ერთ-ერთ მთავარ გამოსავლად ილია ჭავჭავაძე განათლებული ქალბატონების ჩართულობას ხედავდა: გურევი-

ჩის „მოდღვრებას შეუძლიან თავი გაატანინოს დედათა საქმეს ყოველთა სასიხარულოდ და სასიქადულოდ და ვისაც დედათა საქმის სიდიადე გულწრფელად და გაგებულად გულში სდებია, არა გვეგონია, ამ გზაზედ საქმის დაყენება მიიჩნიოს გზის გამრუდებად და არა გასწორებად“ (1991, გვ. 470, 471).

ა. წერეთელმა ქართველი ქალის იდეალად წმ. ნინო, თამარ მეფე და ქეთევან წამებული დაისახა:

„პირველათ ანდრია მოციქული მოვიდა საქართველოში საქადაგებლათ კოლხიდით, დაასო ჯვარი ენგურის პირათ (დღესაც იმ ადგილს ჯვარი ჰქვია), მაგრამ ვერას გახდა, მაშინ, როდესაც ნინო მოციქულთა სწორმა ნანა დედოფალის, მირიანის მეუღლის, შემწეობით კი მთელს საქართველოს მოსდო ქრისტიანობა ... საქართველო ხომ ღვთის მშობლის წილხვედრია, პოეტის აზრით კი, სწორედ ამის ბრალიც იყო, რომ „სხვა ქვეყნებში ისეთი ნდობა და თავისუფლება არა ჰქონდათ ქალებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში“ (2023ა, გვ. 93).

ილია ჭავჭავაძისთვის ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა იმ ბრძოლის შემადგენელი ნაწილი გახლდათ, რომელსაც პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლა ერქვა. პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების საწინდრად კი მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს პიროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება მიაჩნდა. მის შემოქმედებაში პიროვნულად დამოუკიდებელი ადამიანის სახე იყო ოთარაანთ ქვრივი, ხოლო მოძრაობა და აქტიურობა ქმნიდა თავისუფალ პიროვნებას („მგზავრის წერილები“). ეს ყველაფერი ხელს უწყობდა პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც შედგება განათლებული ადამიანებისგან – როგორც მამაკაცებისგან, ისე ქალბატონებისგან.

საქართველოს ისტორია იმდენადაა გაჯერებული დამპყრობლებთან მრავალწლიანი ომებით, რომ გასაკვირი არც არის, უკაცოდ დარჩენილ ოჯახებში და ზოგჯერ მთლიანად სოფლებშიც კი მამაკაცების გასაკეთებელი საქმეები ქალებს ეტვირთათ. ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ვაჟ-ფშაველა აღნიშნავს: „დედაკაცს არ შეუძლიან ხატის კარზე მისვლა, იქ, სადაც კაცი მიდის, რადგან ის შელახავს, ანუ გააუწმინდურებს ხატსა“ (1964გ, გვ. 28). ეს ფაქტი ვაჟა-ფშაველამ ნათლად აღწერა თავის თხზულებებში. ქალის მიერ დაკლული საკლავი და ხატის განდიდება რომ იხილა, კვირიამ გაკვირვებულმა იკითხა: „დიაც ვინ მოგცა ის ნება, საქმე აკეთო მამრისა?“ სანათამ კი მგზავრს ასეთი პასუხი გასცა: „მამრთა შეაკლეს მტერს თავი, ხსენება გაწყდა კაცისა/ ... უკაცურთ კაცობა გემართებს, მანამ სული გვჩრავ პირშია“ (1964ა, გვ. 144-145). სხვა პოემაში კი ორი ადათ-წესის ურთიერთდაპირისპირების ფონზე უჭირისუფლოდ მიტოვებული მოსისხლე მტრის, მაგრამ ვაჟკაცის, გვამის დატირება აღაზას ქვეცნობიერ მოვალეობად იქცა: „ცრემლები შემიწირია/ იმ შენი მეგობრისადა, ძლიერ შემბრალდა ბეჩავი, რომ უცხოეთში კვდებოდა“ (1964ბ, გვ. 228). პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ განვითარებულ დრამატულ ფონზე ყველაზე საინტერესოდ, ემანსიპაციის თვალსაზრისით, გამოიყურება გაბრაზებული, სასოწარკვეთილი და შეცბუნებული („პირს სინანული წაესო“) ჯოყოლას პასუხი ნამტირალევი ცოლის აღსარებაზე: „იტირე?! მაღლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა?/ დიაცს მუდამაც უხდება/ გლოვა ვაჟკაცის კარგისა“ (1964ბ, გვ. 230). ფრაზა „მე რა გამგე ვარ მაგისა“ ქვეცნობიერიდან ბუნებრივად მომდინარე პასუხია და მიუთითებს ცოლქმარს შორის თანასწორუფლებიან ურთიერთობაზე, იმაზე, რომ ჯოყოლა აღაზას არა თავის საკუთრებად, არამედ ცალკე პიროვნებად განიხილავს და მის გრძნობებს, მოქმედებას არ მართავს. აღნიშნული სტროფი ვაჟას დემოკრატიული და ფემინისტური აზროვნების უმაღლესი წერტილია.

მკაცრ ტრადიციებსა და წესებზე გაზრდილმა ვაჟამ მეტად ჰუმანური პოზიცია დაიკავა ქალების მამაკაცებთან უფლებებით გათანაბრების მოთხოვნებთან დაკავშირებით. თავის ერთ წერილში „სადღეისო წერილი მეგობართან“ მწერალმა ფემინისტური აზროვნებით პირდაპირ პოლიტიკური სურათი დახატა და ქვეყნის ხსნის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებად ქალებისთვის მოთხოვნილი უფლებების მინიჭება დასახა: „დიდად და დიდად საჭიროა, დაკმაყოფილდეს

ქალთა მოთხოვნები. მჯერა და მწამს და ვერცავინ შემაცვლევინებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მაღამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ველირსებოდი“ (1964დ, გვ. 116). წერილი ვაჟას სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა და არც კონკრეტული ადრესატია ცნობილი, მაგრამ მსგავსი პათოსის გამოძახილი კლასიკოსის შემოქმედებაშიც მოიძებნება. პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ თემისგან განდგომილი და დადუმებული ჯოყოლას ცოლის – მიცვალებულებისგანაც კი დადევნებულისა და გაკიცხულის მიერ მტრის მიტოვებული ცხედრის დატირება და თემისთვის თავდახრის სანაცვლოდ თავის მოკვლა სხვა რა არის, თუ არა მანამდე არსებული სისხლის აღებისა და მოკლულებისთვის ადამიანის შეწირვის არაჰუმანური წესისადმი ქალში გამოვლენილი შინაგანი, ძლიერი პროტესტი.

სიცოცხლის ბოლო წლებში ვაჟა-ფშაველა თავის ერთ პატარა წერილში კვლავ მიუბრუნდა ქალების მნიშვნელობას:

„დედაკაცებს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში ... ოჯახში უფლობს დედაკაცი ... დედაა გადამწყვეტელი შვილების ბედიღბლისა, შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ დედამ რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვა შვილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღმბეჭდი გული და გონება... ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარედ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილისა...“ (1964გ, გვ. 347).

კიდევ ერთი კლასიკოსი, რომელიც თავის შემოქმედებაში ვრცლად შეეხო ქალთა ემანსიპაციის საკითხს, იყო ალექსანდრე ყაზბეგი. მწერლის საყოველთაოდ აღიარებულ პროზაულ შედევრებში ბევრგან ვხვდებით ქალების უუფლებობის ამსახველ ადგილებს, მაგრამ მწერალმა ეს თემა უფრო მძაფრად ასახა დრამატურგიასა და პოეზიაში.

ევროპული ემანსიპაციის პირდაპირი გამოძახილია ალ. ყაზბეგის ერთი თხზულების გეგმა-კონსპექტი, რომლის სათაურია „ქალის თავისუფლება“ (1950, გვ. 235). პიესის ან მოთხრობისთვის განკუთვნილ გეგმაში მოქმედება მიმდინარეობს შვეიცარიაში. „ახლად კურს შესრულებულნი“ ქართველი ახალგაზრდები შეკრებილი არიან ბაღში ერთი საკითხის განსახილველად და ეს საკითხი არის „ბაასი ქალის თავისუფლებაზე“. მწერლის ჩანაწერებში შემორჩენილი გეგმა-კონსპექტი ადასტურებს, რომ ალ. ყაზბეგმა კარგად იცოდა, რა ხდებოდა ევროპაში აღნიშნული თემის გარშემო და იგი დიდ იმედებს ამყარებდა საზღვარგარეთ განათლებამიღებულ ახალგაზრდობაზე.

ყველაზე მკაფიოდ ქალთა ემანსიპაციის საკითხებს მწერალი გამოეხმაურა პიესით „ერთი უბედურთაგანი“. თხზულება წელიწადნახევარი ვერ ეღირსა სცენაზე დადგმას მასში წამოჭრილი პრობლემების გამო. მოწინავე ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი წინააღმდეგი იყო მისი წარმოდგენისა. ავტორი ამის შესახებ აღნიშნავდა:

„ამ პიესისთვის აუხირდა ყველა იმ დროის პერიოდული გამოცემანი. მიზეზი ამგვარის გაცხარებისა ის იყო, რომ დრამაში გამოყვანილი ყმაწვილი კაცი საზიზღარ გარყვნილს და ზნეობით ყოვლად დაცემულს პირს წარმოადგენდა... საქმით არღვევდა პატიოსნების ყოველ პირობას და არავითარ პირადობას ქალის არსებაში არა ხედავდა, ყველაფერი, ყოველი წმინდა საგანი ამ გმირის ხელში ქალის მოსატყუებელს, დასამცირებელს საგანს შეადგენდა... ყველა მათგანს ეგონა, რომ გამოხატული ტიპი... პირადად მასა ხატავდა, მის ღირსებას შეეხებოდა და მოჩხუბარიძეს არც აპატიეს ესა!“ (კეკელიძის... №165).

ამავე პრობლემას ეხება მწერალი ერთ დაუმთავრებელ მოთხრობაში „ვინ გავამტყუნოთ“. ნაწარმოებში არის ასეთი ფრაზა: „ქალი მისდა სასიამოვნოდ არის გაჩენილი და სვინდისის წინააღმდეგ არ მოქმედებს, ვინც სარგელობს ამ სიამოვნებით“, – ამ სიტყვებს ამბობს მოთხრობის

მთავარი პერსონაჟი ვალერი ჩხიკარიძე (2019, გვ. 62). ამ ერთი პასაჟითაც ნათელია, რა პრობლემას ეხება, რისი თქმა უნდა და რას გმობს თხზულების ავტორი.

გარდა პიესებისა და მოთხრობებისა, ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლის თემამ მწერლის პოეზიაშიც იჩინა თავი. ლექსებში – „ქალის მოთქმა“ (კეკელიძის... №59, გვ. 41), „ქალის თავგადასავალი“ (კეკელიძის... № 88, გვ. 30), „ნეტა, მითხრათ, მეუფემა ქალად რისთვის გამაჩინა...“ (კეკელიძის... № 61, გვ. 32), „ქალის საჩივარი“ (კეკელიძის... № 61, გვ. 9v), – ყაზბეგმა წინა პლანზე წამოწია ქალების დაბეჩავებული მდგომარეობა, კაცებთან არათანსწორუფლებიანობა, სიყვარულის უუფლებობა, ძალით გათხოვების საკითხი, ძალადობა არა მარტო საზოგადოების, არამედ ოჯახის მხრიდანაც:

„ამოსაქმენად, ფიქრისთვის/ ერთს წუთს არ მომცეს ნებაო,/ ქალების თავისუფლებით/ კაცს მიეცემა ვნებაო!..“/ („ქალის საჩივარი“); „მანდილ მოხდილს, ნამუს ახდილს/ მკრამს ხელს, გამომადგებს კარში,/ უგზო უკვლოდ დავწაწალებ/ ლუკმისათვის მთად და ბარში...“/ („ქალის მოთქმა“); „ან მეუფემ, ნეტა, მითხრათ/ ქალად რისთვის გამაჩინა?/ კაცსა მიმცა ყმად და მონად,/ კვნესას აღარ მომარჩინა!“/ („ნეტა, მითხრათ, მეუფემა...“); „ვცოცხლობ? არ ვიცი!.. სწორედ ვსთქვა:/ ან-კი რა დასაჯერია?!/ ვაჟისთვის – ყველა, ქალისთვის?/ სრულიად არაფერია“/ („ქალის საჩივარი“).

აღ. ყაზბეგის პოეზიის გაცნობისას ადვილი მისახვედრია, ვინ არის მისთვის ქალის იდეალი – ძველი დედები. მწერალს ბრძოლაში სიკვდილისაც კი არ ეშინია, რადგან იცის, რომ ზეცაში ძველ დედებს შეხვდება: „თავგანწირულსა სიკვდილი/ მოურჩენს ყველა იარებს,/ რას ვკარგავ? ცაში მეუფე/ სამოთხეს დამიზიარებს!/ იქ თამარ მეფეს შეხვდები,/ ჩვენში „პირიმზედ“ ხსენებულს,/ წმინდა ქეთევან დედოფალს,/ ქვეყნისთვის სპარსეთს წამებულს...“ (1949, გვ. 29).

XIX საუკუნის კლასიკოსთა უმრავლესობას (აკაკი, ილია, ი. გოგებაშვილი...) ყველაზე მეტად აწუხებდა ქალების მიერ მშობლიური ენის უცოდინარობა – უარყოფის საკითხი. თხზულებათა შედარებისას ირკვევა, რომ აღ. ყაზბეგთან ეს თემა ასე მწვავედ არ დგას. როგორც ჩანს, ყაზბეგი უფრო მეტად მთაში მცხოვრები ქალების ხასიათებს ითვალისწინებდა, იქ კი მშობლიური ენის რუსულით ჩანაცვლების პრობლემა არ იდგა. კვლევისას მიღებული ეს შედეგიც საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით.

XIX საუკუნის კლასიკოსთა შემოქმედებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მიუხედავად მაშინ არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა, რაც დაპყრობილი ქვეყნის განვითარების შეფერხებას იწვევდა, საქართველო მაინც ახერხებდა პროგრესულად მოაზროვნე ქვეყნად წინსვლას და მაშინ მეტად განვითარებულ და მოწინავე სახელმწიფოების მსგავსად ჩვენთანაც ქალთა უფლებების დასაცავად ქალბატონების გვერდით მამაკაცებიც აქტიურად იბრძოდნენ სიტყვითა და საქმით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბრეგაძე, ლ. (2024). „გენდერული საკითხები“. თხზულებანი. ტ. VI, თავი II. თბილისი: „ილიას ფონდი“. ISBN 978-9941-8-52-27-5
- გოგებაშვილი, ი. (1989ა). „განათლების მდგომარეობა საქართველოში 1880 წელს“. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I. თბილისი: „განათლება“.
- გოგებაშვილი, ი. (1989ბ). „თელავის და თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლები“. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I. თბილისი: „განათლება“.
- ვაჟა-ფშაველა. (1964ა). „ბახტრიონი“. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ვაჟა-ფშაველა. (1964ბ). „სტუმარ-მასპინძელი“. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

- ვაჟა-ფშაველა. (1964გ). „ფშაველები (ეთნოგრაფიული მასალა)“. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX. თბილისი: ა „საბჭოთა საქართველო“.
- ვაჟა-ფშაველა. (1964დ). „სადღეისო წერილი მეგობარს“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. X. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- კეკელიძის... კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. აღ. ყაზბეგის ფონდი.
- ნოლაიძელი, ე. (2013). წინასიტყვაობა. ვის ემინია ფემინიზმის საქართველოში?. თბილისი: „მპს „სეზანი“. ISBN 978-9941-0-6197-4
- ყაზბეგი, აღ. (1949). „*** (ასე ვარ, ასე ვიქნები...)“. თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
- ყაზბეგი, აღ. (1950). „ქალის თავისუფლება“. თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტ. V. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.
- ყაზბეგი, აღ. (2019). „ვინ გავამტყუნოთ“. ნაცნობი და უცნობი ყაზბეგი. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- წერეთელი, ა. (1961). „საგულისხმო“. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- წერეთელი, ა. (2023ა). „სამი ლექცია „ვეფხვის-ტყაოსანზე“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XII. თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- წერეთელი, ა. (2023ბ). „ლოტოთი ლოთობა ქუთაისში“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XI. თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- წერეთელი, ა. (2023გ). „მცირე რამ ახალ-დგმაზედ“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XI. თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- ჭავჭავაძე, ი. (1988). „კაცია-ადამიანი?!“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II. თბილისი: „მეცნიერება, „საბჭოთა საქართველო“.
- ჭავჭავაძე, ი. (1991). „დედათა საქმის გამო“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. V. თბილისი: „მეცნიერება“. ISBN 5-520-00847-7
- ჭავჭავაძე, ი. (2007ა). „დედათა ემანსიპაციის შესახებ“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. X. თბილისი: „ილიას ფონდი“.
- ჭავჭავაძე, ი. (2007ბ). „ქალთა სასწავლებელი“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XI. თბილისი: „ილიას ფონდი“.
- ჭავჭავაძე, ი. (2007გ). „წმ. ნინოს დღეობა“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XV. თბილისი: „ილიას ფონდი“.

References:

- Bregaze, L. (2024). „Genderuli sak'itkhebi“. Tkhzulebani. T. VI, tavi II. [The Gender Issues. Works. Vol, VI, ch.II]. Tbilisi: „Ilias Pondi“. ISBN 978-9941-8-52-27-5
- Ch'avch'avadze I. (1988). „K'atsia adamiani“. Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. II. [„Is a Man a Man?!“. Complete Collectio of Works in Twenty Volumes, vol II]. Tbilisi: „Mecniereba, „sabch'ota sakartvelo“.
- Ch'avch'avadze I. (1991). „Dedata sakmis gamo“. Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. V. [„Because of Women's Work“. A Complete Collectio of Works in Twenty Volumes, vol V]. Tbilisi: „Mecniereba“. ISBN 5-520-00847-7
- Ch'avch'avadze I. (2007a). „Dedata emansip'aciis shesakheb“. Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. XVIII. [„About the Emancipation of Women“. A Complete Collectio of Works in Twenty Volumes, vol XVIII]. Tbilisi: „Ilias Pondi“.
- Ch'avch'avadze I. (2007b). „Kalta sasts'avlebeli“. Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. XI. [„Women's School“. A Complete Collectio of Works in Twenty Volumes, vol XI]. Tbilisi: „Ilias Pondi“.
- Ch'avch'avadze I. (2007g). „Ts'minda ninos dgheoba“. Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. XV. [„Saint Nino's Day“. Complete Collectio of Works in Twenty Volumes, vol XV]. Tbilisi: „Ilias Pondi“.
- Gogebashvili, I. (1989a). „Ganatilebis mdgomareoba sakartveloshi 1880 ts'els“. Rcheuli tkhzulebani khut t'omad, t' I. [„The State of Education in Georgia in 1880“. Selected Works in Five Volumes, vol. I]. Tbilisi: „Ganatileba“.

- Gogebashvili, I. (1989b). „Telavis da tbilisis ts'minda ninos sast'avleblebi“. Rcheuli tkhzulebani khut t'omad, t' I. [„St. Nino's Schools in Telavi and Tbilisi“. Selected Works in Five Volumes, vol. I]. Tbilisi: „Ganatileba“.
- K'ek'elidzis... K'. K'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri. Al. Q'azbegis pondi. [K. Kekelidze National Manuscript Center. Founds of Al. Kazbegi]. Tbilisi.
- Noghaideli, E. (2013). Ts'inasit'q'vaoba. Vis eshinia peminizmis sakartveloshi?. [Preface. Who is Afraid of Faminism in Georgia?]. Tbilisi: „Lmt. „Sezani“. ISBN 978-9941-0-6197-4
- Q'azbegi, Al. (1949). „*** (ase var, ase viknebi...)“. Tkhzulebata sruli k'rebuli otkh t'omad, t'. III. [„*** (This Is How Am I, This Is How I Will Be...)“. A Complete Collectio of Works in Four Volumes, vol. III]. Tbilisi: „Sabch'ota mts'erali“.
- Q'azbegi, Al. (1950). „Kalis tavisupleba“. Tkhzulebata sruli k'rebuli otkh t'omad, t'. V. [„Women's Freedom“. A Complete Collectio of Works in Four Volumes, vol. V]. Tbilisi: „Sabch'ota mts'erali“.
- Q'azbegi, Al. (2019). „Vin gavamt'q'unot“. Ncnobi da ucnobi Kazbegi. [„Who Can We Lie to“. Familiar and Unknown Kazbegi]. Tbilisi: Pablishing House of the Institute of Literature.
- Ts'ereteli, A. (1961). „Sagulisikhmo“. Tkhzulebata sruli k'rebuli tkhutmet' t'omad, t'. XIV. [„The Significant“, A Complete Collection of Writings in Fifteen Volumes, Vol. XIV]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Ts'ereteli, A. (2023a). „Sami leksia „Vepkhist'q'aosanze“. Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. XII. [„Three Lectures on „The Knight in the Panter's Skin“, A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Vol. XII]. Tbilisi: „Sakartvelos macne“. ISBN 978-9941-16-838-3
- Ts'ereteli, A. (2023b). „Lot'oti lotoba Kutaishsi“. Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. XI. [„Lotto Drinking“, A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Vol. XI]. Tbilisi: „Sakartvelos macne“. ISBN 978-9941-16-837-6
- Ts'ereteli, A. (2023g). „Mcire ram akhal-dgmazed“. Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. XI. [„A Little about the New Generation“, A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Vol. XI]. Tbilisi: „Sakartvelos macne“. ISBN 978-9941-16-837-6
- Vazha-Pshavela. (1964a). „Bakht'rioni“. Tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad, t'. III. [„Bakht'rion“. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Vol. III]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Vazha-Pshavela. (1964b). „St'umar-masp'imdzeli“. Tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad, t'. III. [„St'umar-masp'imdzeli“. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Vol. III]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Vazha-Pshavela. (1964d). „Sadgheiso ts'erili megobars“. Tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad, t'. X. [„A Letter for Today to the Friend“. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Vol. X]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Vazha-Pshavela. (1964g). „Pshavelebi (etnograpiuli masala)“. Tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad, t'. IX. [„The People of Pshave (Ethnographic Material)“. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Vol. IX]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.